

*შპს „მედეაპიტალი“ აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, გამრეკელის ქ. №19-ში მდებარე კლინიკის პირველი სართულის, პროექტების მიხედვით, სარეკონსტრუქციო/სარემონტო და გათბობა-გაგრილების სამუშაოების შესრულების თაობაზე*

- ქ) ლოტი 1 – სარეკონსტრუქციო/სარემონტო სამუშაოები. შესასრულებელი სამუშაოების დასახელება და მოცულობა მითითებულია დანართ №1.1. (ხარჯთაღრიცხვა).
- ქ) ლოტი 2 – გათბობა-გაგრილების სამუშაოები. შესასრულებელი სამუშაოების დასახელება და მოცულობა მითითებულია დანართი №1.2. (ხარჯთაღრიცხვა).
- ქ) მასალების შესყიდვას ახორციელებს დამკვეთი (შპს მედეაპიტალი). ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს შემსრულებელი (ტენდერში გამარჯვებული სუბიექტი).
- ქ) სატენდერო განცხადებას თან ერთვის გათბობა-გაგრილების პროექტი, არქიტექტურული გეგმარების პროექტი, ელექტროობის პროექტი, სუსტი დენების პროექტი და წყალ-კანალიზაციის პროექტი.
- ქ) ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ პირთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი მოცემულია დანართ №2-ში.
- ქ) აფიდავიტი დანართი №3-ში.

**\*შენიშვნა:** პრეტენდენტი, რომელსაც მომსახურების ღირებულების გადახდის პირობაში ავანსის სახით საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი თანხის ჩარიცხვა აქვს გათვალისწინებული ან/და ეს თანხა აღემატება 5000 ლარს, ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში, ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე წარმოადგინოს საბანკო გარანტია, დამკვეთთან შეთანხმებული ბანკიდან/სადაზღვევო კომპანიიდან.

*ქ) დაინტერესებულმა კანდიდატმა სატენდერო წინადადებაში უნდა მიუთითოს შემდეგი ინფორმაცია:*

- ღირებულება დანართი №1 (ხარჯთაღრიცხვა) შესაბამისად; შესაძლებელია ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილ იქნას სამუშაოების როგორც სრულად/მთლიანად შესრულებაზე, ასევე თითოეულ პოზიციაზე/პროექტზე ცალ-ცალკე, წინამდებარე განცხადებაზე დართული ფორმის შესაბამისად (დანართი №1).
- შესასრულებელი სამუშაოების ანაზღაურების პირობები;
- სამუშაოს შესრულების ვადა;
- საგარანტიო პირობები;

*ქ) დაინტერესებულმა კანდიდატებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:*

- პრეტენდენტის რეკვიზიტები: სრული დასახელება, მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი, ელ.ფოსტა;
- ინფორმაცია გამოცდილების შესახებ;
- სამუშაოს ღირებულება დანართი №1 (ხარჯთაღრიცხვა) შესაბამისად;
- ხელმოწერილი აფიდავიტი, რომელიც თან ერთვის წინამდებარე განცხადებას დანართი #3-ის სახით.

*კომპანიის გადაწყვეტილებით, ასევე შესაძლებელია პრეტენდენტებს მოეთხოვოთ სხვა დამატებითი დოკუმენტების/ინფორმაციის წარმოდგენა.*

*სატენდერო კომისიის მიერ სატენდერო წინადადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის შეფასების კრიტერიუმები არის შემდეგი:*

- სამუშაოების შესრულების ხარისხი;
- სამუშაოების შესრულების ვადა;
- ანგარიშსწორების პირობა;

**გამარჯვებულ პრეტენდენტს, სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, შეიძლება მოეთხოვოს შემდეგი დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა:**

- საბანკო რეკვიზიტები;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (სატენდერო წინადადების წარმოდგენის მომენტისათვის ინფორმაციის მომზადების თარიღიდან არ უნდა იყოს გასული 7 სამუშაო დღე);
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის;
- საგადასახადოს სარეგისტრაციო კოდი და გადამხდელის სტატუსი - "დღგ"-ს გადამხდელი ან "შეღვათების მქონე გადამხდელი";

*წარმოდგენილი დოკუმენტაცია ხელმოწერილ უნდა იქნას პრეტენდენტის შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.*

**სატენდერო განცხადებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს პრეტენდენტის ტენდერიდან დისკვალიფიკაციის საფუძველი.**

პრეტენდენტთა საყურადღებოდ!

ტენდერი ტარდება 1 კონვერტის პრინციპით, რაც არ გულისხმობს პრეტენდენტთა შორის ელექტრონულად ვაჭრობის ეტაპის გამართვას და აღნიშნულის გათვალისწინებით, პრეტენდენტთა მიერ უნდა იქნეს წარმოდგენილი კონკურენტული/საბოლოო სატენდერო წინადადებები (მათ შორის საბოლოო ფასები).

**პრეტენდენტთა მიერ შემოთავაზება წარმოდგენილ უნდა იქნას ელექტრონულად [www.etenders.ge](http://www.etenders.ge)-ს საშუალებით.**

სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა **2023 წლის 20 ნოემბერი, 14:00** საათი [www.etenders.ge](http://www.etenders.ge) -ს საშუალებით. გამარჯვებულ პრეტენდენტს დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა ეცნობება დამატებით.

ტენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციის მიღება, საჭიროების შემთხვევაში ადგილზე დათვალიერება, ინფორმაციის დაზუსტება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გამრეკელის ქ.№19;

საკონტაქტო პირი: დაჩი იორამაშვილი, ელ.ფოსტა: [dachi.ioramashvili@medcap.ge](mailto:dachi.ioramashvili@medcap.ge), ტელ: 599989884

*წინამდებარე ტენდერის საფუძველზე პრეტენდენტ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი პერსონალური მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხილულ იქნება მხოლოდ წინამდებარე ტენდერის ფარგლებში. ამასთან, წინამდებარე სატენდერო განცხადების საფუძველზე პრეტენდენტ(ებ)ის მიერ სატენდერო წინადადების (შესაბამისი დოკუმენტაციისა და მათ შორის პერსონალური მონაცემების) წარმოდგენა ადასტურებს პრეტენდენტ(ებ)ის თანხმობას აღნიშნული პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე.*